დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2026 წლის 9 ნოემბრის N 23/26 ოქმით

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია
ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამისთვის

მიზანი
საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის მიზანია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს პროგრამის დასკვნით სემესტრში მიეცეს დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის საშუალება მისთვის საინტერესო ეკონომიკურ საკითხზე და მიეცეს საშუალება გამოიყენოს პროგრამის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებში მიღებული ცოდნა.

კვლევითი ნაშრომის მიზანია სტუდენტმა ხელმძღვანელის მითითებით შეძლოს: მკაფიო და ნათელი საკვლევი საკითხის ირგვლივ რელევანტური და ოპტიმალური მეთოდების შერჩევა და მიზნობრივი კვლევის განსახორციელებლად მათი გამოყენება; დარგის და მომიჯნავე დისციპლინების ურთიერთდაკავშირების გზით, ცოდნის განზოგადებისა და პრობლემის კომპლექსურად გააზრებით წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე, კონკრეტული სამუშაოების ეტაპობრივად შესრულება; რელევანტური ლიტერატურის შერჩევა და კვლევის შედეგების არგუმენტირებული ანალიზი; ნაშრომის თემასთან და შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული მოსაზრებების და იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაცია.

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი ეკონომიკაში სრულდება წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად. ნაშრომის საკითხები, რომლებიც დარეგულირებული არ არის წინამდებარე ინსტრუქციით, რეგულირდება საბაკალავრო სწავლების დებულების შესაბამისად.

სწავლის შედეგები
კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ პრობლემებს;
- გეგმავს და წარმართავს საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ კომპლექსურ კვლევით საქმიანობას;
- ასრულებს ნაშრომის მომზადების ეტაპებს წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიური მითითებებისა და აკადემიური განრიგის შესაბამისად;
- იყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის, ასევე სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად და დასამუშავებლად;
- აანალიზებს საკითხთან დაკავშირებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას და აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს;
- გადმოსცემს ნაშრომის ძირითად მიგნებებს, იდეებს, გამოვლენილ პრობლემებსა და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს;
- ქმნის (ამზადებს) საბაკალავრო ნაშრომს აკადემიური ეთიკისა და სტილისტური სტანდარტების დაცვით და წარადგენს (იცავს) მას ზეპირად;
- მართავს პროფესიულ დისკუსიას აუდიტორიასთან დარგობრივი ტერმინოლოგიისა და აკადემიური კომუნიკაციის ნორმების გამოყენებით.

საბაკალავრო კვლევით ნაშრომზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი ეკონომიკაში შეიძლება მომზადდეს მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრში და სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს შემდეგი სასწავლო კურსები:

- ECON4115 ეკონომიკური კვლევის მეთოდები
- ECON3116 ეკონომეტრიკა I

სწავლების მეთოდები

- დისკუსია/დებატები

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- პროექტებზე დაფუძნებული სწავლება
- ლიტერატურის მიმოხილვა
- გუნდური მუშაობა

აღწერა
ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი ეკონომიკაში. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი არის სტუდენტის მიერ შესრულებული დამოუკიდებელი სამუშაო, რომელშიც იგი იყენებს მის მიერ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პროცესში შეძენილ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს.

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 6 000 სიტყვას და გაფორმებული უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად, APA-სტილის მიხედვით. ნაშრომი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში, ხოლო მისი პრეზენტაცია რომელიმე საპრეზენტაციო პროგრამაში (ppt, canvas და სხვა).

სასურველია, სტუდენტმა ფინალურ დაცვაზე, ნაშრომთან ერთად, წარმოადგინონ იმავე თემაზე მომზადებული საკონფერენციო ნაშრომი ან სამეცნიერო სტატია წერილობითი სახით, დანართი №1-ის შესაბამისად (ეს არასავალდებულო კომპონენტია).

სტუდენტმა პროექტი უნდა გააგზავნოს, ხელმძღვანელთან თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრულ ვადამდე, კონცეფცია 5 სამუშაო დღით, წინასწარ განაცხადი 7 სამუშაო დღით, ხოლო საბოლოო ნაშრომი 12 სამუშაო დღით ადრე, უკუკავშირს მიღების მიზნით. ხელმძღვანელი ვალდებულია უკუკავშირი დაუბრუნოს, კონცეფციაზე 3 სამუშაო დღეში, წინასწარ განაცხადზე 5 სამუშაო დღეში, ხოლო საბოლო ნაშრომზე 9 სამუშაო დღეში. სტუდენტ(ებ)ს დარჩენილ დროში შეუძლიათ ნაშრომის გაუმჯობესება და ხარვეზის გამოსწორება. გასწორებულ ნაშრომს სტუდენტ(ებ)ი აგზავნის თითოეული ეტაპისთვის დადგენილ ვადაში, ეტაპის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებთან და სწავლების მენეჯერთან. სწავლების მენეჯერი ნიშნავს და აორგანიზებს კონცეფციის, წინასწარი განაცხადისა და საბოლოო დაცვის პროცესებს აკადემიური კალენდარის შესაბამისად.

ნაშრომის შესრულების ეტაპები
საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი ეკონომიკაში სრულდება სამ ეტაპად: კონცეფციის წარდგენა/დაცვა, წინასწარი განაცხადის წადგენა/დაცვა, ნაშრომის დაცვა.

საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
საბაკალავრო ნაშრომის კონცეფციის მიზანია საკვლევი საკითხის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებების წარმოჩენა. კონცეფცია არის წინასწარი მონახაზი იმ კვლევისა, რომელიც სტუდენტმა დროის განსაზღვრულ პერიოდში უნდა დაასრულოს და საბაკალავრო ნაშრომის სახით წარმოადგინოს. კონცეფციის შედეგად, უნდა დადგინდეს: არის თუ არა საკვლევი თემა აქტუალური; მნიშვნელოვანია თუ არა ძირითადი პრობლემატიკა; აქვთ თუ არა სტუდენტს საკმარისი ცოდნა იმ სფეროში, რომელშიც მუშაობს; შეძლებს თუ არა სტუდენტი წარმართოს კვლევა; რა ლიტერატურა და მასალებია საჭირო თემის დასამუშავებლად; შერჩეულია თუ არა კვლევის სათანადო მეთოდოლოგია. მნიშვნელოვანია კონცეფციაში გამოყოფილი იყოს

იდენტიფიცირებადი საკვლევი კითხვა ან/და ჰიპოთეზა. კონცეფციის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1000 სიტყვას. კონცეფცია წარდგენილი უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წინაშე. კონცეფციას აფასებს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე და ნაშრომის ექსპერტი სასწავლო სემესტრის მე-5 კვირაში.

საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი

საბაკალავრო ნნაშრომის წინასწარი განაცხადი წარმოადგენს საბოლოო ნაშრომის საფუძველს და მასში მოცემული უნდა იყოს: საკითხის ანალიზი, პრობლემის განსაზღვრა, საკვლევი კითხვები და ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები, არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა; დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია; გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა; ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა. წინასწარი განაცხადის ეტაპზე სტუდენტის მიერ უნდა მოხდეს პრეზენტაციის წარდგენა კონცეფცია წარდგენილი უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წინაშე. . წინასწარი განაცხადის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3000 სიტყვას. წინასწარ განაცხადს აფასებს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე და ნაშრომის ექსპერტი სასწავლო სემესტრის მე-10 კვირაში.

ნაშრომის საბოლოო დაცვა:

ნაშრომის საბოლოო დაცვა ხორციელდება სემესტრის მე-18 კვირაში. სტუდენტს აქვს საბოლოო დაცვის აღდგენის საშუალება მე-19 კვირაში. აღდგენის პირობები რეგულირდება საბაკალავრო სწავლების დებულებით.

საბოლოო ნაშრომს აფასებს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თქვჯდომარე და ექსპერტი.

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

კონცეფციი ჯამური შეფასება - 20 ქულა. კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები:

1	საკითხის აქტუალურობა, ნაშრომის მთავარი იდეა, მიზანი, კვლევითი კითხვები ან/და ჰიპოთეზა	6 ქულა
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% -(6.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% -(5,10)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით	70% - (4,20)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით	50% - (3.0)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით	35% - (2.10)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	20% - (1.20)
	არ არის წარმოდგენილი	0% - (0.0)
2	ნაშრომის ზოგადი კვლევის მეთოდოლოგია და მისაღწევ შედეგებთან მიმართება	5 ქულა
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% - (5.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% - (4.25)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით	70% - (3.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით	50% - (2.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით	35% - 1.75)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	20% - (1.0)
	არ არის წარმოდგენილი	0% - (0.0)
3	ტექნიკური გაფორმება	2 ქულა
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% - (2.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% - (1.70)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით	70% - (1.40)

	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით	50% - (1.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით	35% - (0.70)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	20% - (0.40)
	არ არის წარმოდგენილი	0% - (0.00))
4	პრეზენტაცია და დისკუსია საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.	7 ქულა
	პრეზენტაცია სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	100% - (7.00)
	პრეზენტაცია უმეტესად სრულყოფილია, თუმცა გაწელილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	85% - (5.95)
	პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; მეტწილად გასაგებად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	70% - (4.9)
	პრეზენტაცია ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა მეტ-ნაკლებად გამართულია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	50% - (3.5)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	35% - 2.45)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	20% - (1.4)
	პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	0% - (0)

წინასწარი განაცხადის ჯამური შეფასება - 35 ქულა. წინასწარი განაცხადის შეფასების კრიტერიუმებია:

1	საკითხი აქტუალობა, ნაშრომის მთავარი იდეა, მიზანი, კვლევითი კითხვები ან/და ჰიპოთეზა, ნაშრომის სავარაუდო შედეგები, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა (მოკლე კომენტარი).	5 ქულა
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% - (5.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% - (4.25)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით	70% - (3.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით	50% - (2.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით	35% - 1.75)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	20% - (1.0)
	არ არის წარმოდგენილი	0% - (0.0)
2	ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა. შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა.	10 ქულა
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% -(10.00)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% - (8,5)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით	70% - (7.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით	50% - (5.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით	35% - (3.5)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	20% - (2.00)
	არ არის წარმოდგენილი	0% - (0.00)
3	ნაშრომის დეტალური კვლევითი მეთოდოლოგია თითოეული ამოცანის მიხედვით	10 ქულა
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% -(10.00)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% - (8,5)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით	70% - (7.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით	50% - (5.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით	35% - (3.5)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	20% - (2.00)
	არ არის წარმოდგენილი	0% - (0.00)
4	პრეზენტაცია და დისკუსია საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.	10 ქულა

	პრეზენტაცია სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	100% -(10.00)
	პრეზენტაცია უმეტესად სრულყოფილია, თუმცა გაწელილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	85% - (8,5)
	პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; მეტწილად გასაგებად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	70% - (7.00)
	პრეზენტაცია ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა მეტ-ნაკლებად გამართულია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	50% - (5.00)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	35% - (3.5)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	20% - (2.00)
	პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	0% - (0.00)

ნაშრომის საბოლოო დაცვის ჯამური შეფასება - 45 ქულა. ნაშრომის საბოლოო დაცვის შეფასების კრიტერიუმები:

1	ნაშრომის კვლევითი კითხვ(ებ)ის, ჰიპოთეზის, ან/და მიზნების და ამოცანების და შედეგების რელევანტურობა და აქტუალობა პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის	2 ქულა
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები სრულად რელევანტური და აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	100% - (2.0)
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები სრულად რელევანტური და მეტწილად აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	85% - (1.70)
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტწილად რელევანტური და მეტწილად აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის, თუმცა	70% - (1.40)
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტ-ნაკლებად რელევანტური და აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	50% - (1.00)
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტ-ნაკლებად რელევანტურია და ნათლად არ იკვეთება პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის აქტუალობა.	35% - (0.70)
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტ-ნაკლებად რელევანტური და არ არის აქტუალური პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	20% - (0.40)
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები არ არის რელევანტური და აქტუალური პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	0% - (0.00))
2	წერილობითი ტექსტი, ლექსიკა, ნაშრომის მოცულობა და ციტირება;	6 ქულა
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% -(6.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% -(5,10)
	წარმოდგენილი ხარვეზები შეეხება ტექსტის, ლექსიკის ნაწილს, თუმცა არა ციტირების კომპონენტს და ნაშრომის მოცულობას	70% - (4,20)
	ხარვეზების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ციტირების კომპონენტს, თუმცა არა ნაშრომის მოცულობას	50% - (3.0)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით უმეტესწილად ციტირების ნაწილში და დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები	35% - (2.10)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით, დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები	20% - (1.20)
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	0% - (0.0)
3	საბაკალავრო პროექტთან დაკავშირებული სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და შესრულება, დაგეგმილი შედეგების მიღწევა.	5 ქულა
	სამუშაო სრულყოფილადაა დაგეგმილი და ორგანიზებული; სრულად არის შესრულებული და დაგეგმილი შედეგები მიღწეულია.	100% - (5.0)

	სამუშაო გააზრებულადაა დაგეგმილი და ორგანიზებული; შესრულებისას შეინიშნება მცირე ხარვეზები, რომლებიც არსებითად არ აფერხებს დაგეგმილი შედეგების მიღწევას.	85% - (4.25)
	სამუშაო ძირითადად დაგეგმილი და ორგანიზებულია, თუმცა შესრულების პროცესში შეინიშნება ხარვეზები; დაგეგმილი შედეგების უმეტესი ნაწილი მიღწეულია.	70% - (3.50)
	სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზება არასაკმარისია; სამუშაო ნაწილობრივაა შესრულებული და დაგეგმილი შედეგები მხოლოდ ნაწილობრივაა მიღწეული.	50% - (2.50)
	სამუშაოს დაგეგმვასა და ორგანიზებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები; სამუშაოს მცირე ნაწილია შესრულებული და დაგეგმილი შედეგების მხოლოდ მცირე ნაწილია მიღწეული.	35% - 1.75)
	სამუშაო არ არის სათანადოდ დაგეგმილი და ორგანიზებული; შესრულება ფრაგმენტულია და დაგეგმილი შედეგები პრაქტიკულად არ არის მიღწეული.	20% - (1.0)
	სამუშაოს დაგეგმვის, ორგანიზებისა და შესრულების დამადასტურებელი მასალა არ არის წარმოდგენილი; დაგეგმილი შედეგები არ არის მიღწეული.	0% - (0.0)
4	კვლევის მეთოდოლოგია, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	10 ქულა
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია სრულყოფილია თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი სრულყოფილია; მონაცემების შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	100% -(10.00)
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი არ შეიცავს ხარვეზებს; მონაცემების შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	85% - (8,5)
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მცირედი ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მცირედ ხარვეზებს; მონაცემების შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	70% - (7.00)
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს ხარვეზებს, თუმცა მონაცემების შეგროვებულია და მეტწილად სწორად გამოყენებული;	50% - (5.00)
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს; მონაცემები არ არის სრულყოფილად შეგროვებული და არ არის სწორად გამოყენებული;	35% - (3.5)
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს; მონაცემების შეგროვება არადამაკმაყოფილებელია და არ არის სწორად გამოყენებული;	20% - (2.00)
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით/ ან არ არის წარმოდგენილი თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ანალიზი არ არის ჩატარებული; მონაცემები არ არის შეგროვებული.	0% - (0.00)
5	კვლევის შედეგები და დასკვნები. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;	10 ქულა
	მოპოვებული ინფორმაცია სრულყოფილად არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	100% -(10.00)
	მოპოვებული ინფორმაცია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით;	85% - (8,5)

	ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	
	მოპოვებული ინფორმაცია მცირედი, მაგრამ არა უმნიშვნელო ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე მეტწილად ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	70% - (7.00)
	მოპოვებული ინფორმაცია ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები;	50% - (5.00)
	მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის დამუშავებული და შეიძლება არ იყენებდეს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები ნაკლებად ადექვატურია და არ არის დასაბუთებული	35% - (3.5)
	მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის დამუშავებული და შეიძლება არ იყენებდეს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები არ არის ადექვატური	20% - (2.00)
	მოპოვებული ინფორმაცია არ არის დამუშავებული და არ იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	0% - (0.00)
6	პრეზენტაცია და დისკუსია საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.	12 ქულა
	პრეზენტაცია სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	100% - (12.00)
	პრეზენტაცია უმეტესად სრულყოფილია, თუმცა გაწელილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	85% - (10.20)
	პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; მეტწილად გასაგებად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	70% - (8.40)
	პრეზენტაცია ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა მეტ-ნაკლებად გამართულია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	50% - (6.00)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	35% -(4.2)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	20% - (2:400)
	პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	0% - (0)

ნაშრომის სტრუქტურა

მოკლე მიმოხილვა

ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, ნახატების და ილუსტრაციების ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში)

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი (არასავალდებულო)

ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი (არასავალდებულო)

შესავლი

თავი 1 (თავის სათაური)

1.1. (ქვეთავის სათაური)

1.2. (ქვეთავის სათაური)

და ა.შ.

თავი 2 (თავის სათაური)

2.1. (ქვეთავის სათაური)

2.2. (ქვეთავის სათაური)
და ა.შ.
თავი 3 (თავის სათაური)
3.1. (ქვეთავის სათაური)
3.2. (ქვეთავის სათაური)
და ა.შ.
დასკვნები და რეკომენდაციები
დანართები:

- გამოყენებული ლიტერატურა

დანართი #1

საკონფერენციო ნაშრომის ან სამეცნიერო სტატიის მომზადების ინსტრუქცია

საკონფერენციო ნაშრომი ანდა სამეცნიერო სტატია აუცილებელია წარმოადგინოთ Microsoft

Word-ის ფორმატით.

ნაშრომის გვერდების რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 15, კონფენციისთვის უნდა

მოამზადოთ 15 წუთიანი პრეზენტაციისთვის საპრეზენტაციო ფაილი ppt, canvas ან სხვა ფორმატში.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ინგლისურ ან ქართულ ენაზე და გაფორმებული ამერიკის

ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (დეტალები იხილეთ ქვემოთ). საკონფერენციო ტექსტი იკრიფება Sylfaen გარნიტურის გამოყენებით, 11 ზომის კეგლით და სტრიქონებს შორის 1.5

ინტერვალით. ტექსტის გამუქება და ხაზგასმა საჭირო არ არის.

ნაშრომის პირველი გვერდი წარმოადგენს სატიტულო ფურცელს, რომელზეც აღნიშნულია

ნაშრომის დასახელება, ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი, საკონტაქტო პირების ელექტრონული ფოსტის

მისამართი, სწავლების საფეხური, მიმართულების, ფაკულტეტისა და სასწავლო დაწესებულების

დასახელება.

მაგალითად:

სახელი გვარი

ბაკალავრიანტი/მაგისტრანტი/დოქტორნატი

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა

საქართველოს უნივერსიტეტი, 0171, საქართველო

university@ug.edu.ge

მეორე ავტორის სახელი გვარი

ბაკალავრიანტი/მაგისტრანტი

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2026 წლის 9 ნოემბრის N 23/26 ოქმით

საქართველოს უნივერსიტეტი, 0171, საქართველო

university@ug.edu.ge

მომდევნო გვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს აბსტრაქტი

ინგლისურ და ქართულ ენებზე შესრულებულ ნაშრომს აუცილებლად უნდა ერთვოდეს აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას. აბსტრაქტში მოკლედ უნდა ასახოთ კვლევის მიზანი, მთავარი შედეგები და ძირითადი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა, რომლებიც ასახავენ ნაშრომის სამეცნიერო დისციპლინისადმი კუთვნილებას და მასში გამოყენებულ ძირითად კონცეფციებს. საკვანძო სიტყვები დააწყეთ ანბანურად და ერთმანეთისგან მძიმით გამოყავით.

JEL კლასიფიკაცია: მიუთითეთ ერთი ან რამდენიმე JEL კოდი. კოდები შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ბმულზე: http://www.aeaweb.org/econlit/jelCodes.php?view=jel

ნაშრომი უნდა შედგებოდეს შემდეგი ქვეთავებისგან:

შესავლი

ძირითადი ნაწილი

დასკვნები და რეკომენდაციები
დანართები:

კითხვარი #1

ცხრილი, დიაგრამა და სხვა ვიზუალური მასალა

გამოყენებუნილი ლიტერატურა

შესავალი

შესავალში მოკლედ გადმოეცით რელევანტური კვლევითი კვლევები, ასევე ავტორი ნათლად უნდა აღწერდეს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს თემის აქტუალობას და წარმოდგენილი პრობლემის დასმის აუცილებლობას (რატომ თვლით, რომ თემა აქტუალურია, რა პრობლემას აშუქებთ). ასევე კონცეპტუალური აპარატი: კვლევის მიზანი, კვლევის ამოცანები (პუნქტობრივად გაწერილ კვლევის ეტაპებს რომლებიც შესაძლებლობას მოგცემთ უპასუხოთ მიზანს და გადაჭრათ პრობლემა), კვლევის საგანი, ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგია (დეტალურად დაწერეთ, თუ რა სახის

კვლევას ჩაატარებთ) მკაფიოდ უნდა იყოს ფორრმულირებული კვლევის სპეციფიკასთან მიმართებით.

კვლევის ძირითად ნაწილში

წარმოდგენილია თემის შინაარსი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კვლევის მეთოდების

განსაზღვრას და რელევანტურების დასაბუთებას, კვლევის აღწერასა და შედეგების ანალიზს.

დასკვნა

დასკვნა ნათლად და კომპაქტურად აჯამებს კვლევის შედეგებს, წარმოაჩენს ნაშრომის ძირითად

არსს, სიახლეს, უჩვენებს შემდგომი კვლევის პერსპექტივას.

ციტირება

სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობისას აუცილებელია ნაშრომში ციტირებული

ლიტერატურის მითითება იმ სტანდარტების შესაბამისად, ტექსტში:

(ავტორის გვერდი, წელი, გვერდი) მაგ.: (ცხადაძე, 2022, გვ 35)

უცხოელი ავტორის მითითებისას (Kotler/კოტლერი, 2020, გვ 75) თუ მეორედ იყენებთ იმავე

ავტორს (კოტლერი, 2020, გვ 95).

ელექტრონული წყაროს მითითება:

https://data.worldbank.org/indicator/ბოლო ნახვა 5 ნოემბერი, 2022/

გამოყენებული ლიტერატურატურაში წყაროს მითითება

მაგალითად:

1. Banerjee, B. How Successful Banks Build their Innovation Strategy. Retrived March 3, 2013, from

http://www.infosys.com/finacle/solutions/thought-papers/Documents/how-successful-banks.pdf

2. Spies F., F., & D., B. (2005). A critical analysis of US real estate appraisal methods when used for
financial reporting according to the international financial reporting standards (IFRS). 11th

Annual Conferene of the PRRES.

3. Uyar, A. (2010). Cost and management accounting practices: a survey of management companies.

Eurasian Journal of Business and Economics. (Vol. 3. No 6. pp. 113-125).

4. Wijewardena, H. and Zoysa, A.D. (1999). A comperative analysis of management accounting

practices in Australia and Japan: an empirical investigation. The International Journal of

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2026 წლის 9 ნოემბრის N 23/26 ოქმით

Accounting. (Vol. 34. No. 1. pp. 49-70).


ნაშრომში გამოყენებული ცხრილები, დიაგრამები ან სხვა ვიზუალური მასალა თანმიმდევრულად უნდა იყოს დანომრილი და გაფორმებული ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით.

ცხრილი 1. ნიმუში

Item	Font	Size	Style
ნაშრომის სათაური	Sylfaen	12	Bold
ავტორის სახელი და გვარი	Sylfaen	10	Norm
ავტორის მეილი	Sylfaen	10	Italic
აბსტრაქტი	Sylfaen	10	Italic
თავების და ქვეთავების სათაურები	Sylfaen	12	Norm
ტექსტური ნაწილი	Sylfaen	11	Norm
გამოყენებული ლიტერატურა	Sylfaen	10	Norm

დიაგრამა 1 – Variable trend (1995-2010)

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2026 წლის 9 ნოემბრის N 23/26 ოქმით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული ბიურო